დამტკიცებულია:
აკადემიური საბჭოს მიერ
2026 წლის 29 აპრილის N502796
დადგენილებით, ოქმი N4

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო
პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული
გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. დისტანციური სწავლება და მისი ფორმები

1. დისტანციური სწავლება გულისხმობს სრულად თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, მის დისტანციური/ელექტრონული ფორმით, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.
2. დისტანციური სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება, ხოლო ასინქრონული კომუნიკაცია – ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება.
3. დაუშვებელია უნივერსიტეტში პროგრამა განხორციელდეს დისტანციური სწავლების სრულად ასინქრონული ფორმით.

მუხლი 3. პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელება

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება პროგრამის ის კომპონენტი/კომპონენტები, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იმ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ფარგლებში, რომლებიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს.

3. გადაწყვეტილებას პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების თაობაზე იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის (შემდგომში დეპარტამენტი) უფროსის წარდგინების საფუძველზე აგრეთვე პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების თაობაზე ინფორმაცია გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამის პროგრამაში.

2. დაუშვებელია:

ა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლება დისტანციური ფორმით;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება დისტანციური ფორმით;

5. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტი დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების პროცესის ორგანიზება არადისტანციური ფორმით.

6. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების იმ პროგრამებისათვის, რომლებიც არ ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, პროგრამის კომპონენტების სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურად სწავლების ან/და შეფასების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დეპარტამენტის უფროსის წარდგინების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტი ვალდებულია სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომ – ცენტრი) პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზე წარდგენილ განაცხადში ასახოს პროგრამის/პროგრამის კომპონენტების სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია, არგუმენტირებული დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც ფასდება პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

7. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას და ავტორიზაციის/პროგრამის დამატების ეტაპზე არ ჰქონდა მოთხოვნილი პროგრამის/პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების დისტანციურად განხორციელება, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შემთხვევაში ვალდებულია მიმართოს ცენტრს, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით, განსაზღვრულ ვადებში.

8. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას და პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზე არ ჰქონდა მოთხოვნილი პროგრამის/პროგრამის კომპონენტების სრულად დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელება, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შემთხვევაში ვალდებულია მიმართოს ცენტრს პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით.

9. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე ახორციელებს პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას და სურს განახორციელოს აღნიშნული პროგრამა/პროგრამის კომპონენტები სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურად, ვალდებულია შეცვალოს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელსაც ეყრდნობა პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამა და ცვლილების შემდგომ მიმართოს ცენტრს პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით განსაზღვრულ ვადებში.

10. პროგრამის დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების მიზნით დეპარტამენტი განსაზღვრავს დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებს, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა

1. დისტანციური სწავლების შემთხვევაში ერთი გაკვეთილის მოიცავს 50 საკონტაქტო წუთს.
2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენება, რათა არც ერთი პროფესიული სტუდენტი /მსმენელი არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა, ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს, ამ მიზნით საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტში გამოყოფილ სივრცეში შესაძლებელია სტუდენტებისთვის/მსმენელისთვის შესაბამისი მომსახურების მიწოდება (მოთხოვნისამებრ);

3. უნივერსიტეტი ვალდებულია დისტანციური სწავლებისას დაიცვას თითოეული პროფესიული სტუდენტის /მსმენელის პერსონალური მონაცემები და მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები.

4. უნივერსიტეტში დაგეგმილი ექსტრაკურიკულური აქტივობები (სასერტიფიკატო კურსები, შეხვედრები, კონსულტაციები, ტრენინგები და სხვა) შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციური პლატფორმების გამოყენებით.

5. დისტანციური სწავლების განხორციელების მიზნით შესაძლებელია სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმის გამოყენება, უნივერსიტეტის რექტორთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

6. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული სტუდენტებისა/მსმენელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შერჩეული დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით შემუშავებული ინსტრუქციებით უზრუნველყოფას.

7. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მოახდინოს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დასწრების აღრიცხვა.

7. დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი (სასწავლო პროცესების მართვისა და უწყვეტი განათლების მიმართულებით) სისტემატურად აწარმოებს სტუდენტთა/მსმენელთა დისტანციურ გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს.

8. უფროსი სპეციალისტი (სასწავლო პროცესების მართვისა და უწყვეტი განათლების მიმართულებით) ვალდებულია დაადგინონ სტუდენტის/მსმენელის მიერ დისტანციური გაკვეთილის ხშირად გაცდენის მიზეზები და იმ შემთხვევაში თუ: აღნიშნული გამოწვეულია სტუდენტის/მსმენელის მხრიდან შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის (მოწყობილობისა და ინტერნეტთან წვდომის) არქონით, ამ შემთხვევაში ინფორმაცია უნდა მიაწოდოს დეპარტამენტის უფროსს და პრობლემის მოგვარებამდე ინდივიდუალურად განიხილოს არსებული

შესაძლებლობები და დაგეგმოს ალტერნატიული ღონისძიებები სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩასართავად.

9 პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შეიმუშაოს დისტანციური სწავლებისა და მიდგომების გამოყენებით მოქნილი კალენდარული გეგმა და წარუდგინოს უფროს სპეციალისტს (სასწავლო პროცესების მართვისა და უწყვეტი განათლების მიმართულებით), ასევე განახორციელოს დისტანციური სასწავლო პროცესი სწავლის შედეგების შესაბამისად;

10. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში მიწოდებული გრაფიკის შესაბამისად ადეკვატური გარემოდან.

11. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ონლაინ სივრცეში შემოსვლით და ჩართულობით ადასტურებს სასწავლო პროცესში მონაწილეობას.

12. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია მასწავლებლის ან/და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში ჩართოს ან/და გამორთოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა, ასევე ელექტრონულ პლატფორმაზე შემოსვლისას პროფესიული სტუდენტის/მსმენელის იდენტიფიცირების მიზნით უნდა ფიქსირდებოდეს სახელი და გვარი.

13. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ონლაინ გამოკითხვებში და დააფიქსიროს მოსაზრება/რეკომენდაციები შემდგომი განვითარების მიზნით.

14. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ შერჩეულ ელექტრონულ პლატფორმაში დარეგისტრირდეს, შექმნას საკუთარი ანგარიში და უზრუნველყოს ყველა პროფესიული სტუდენტისათვის /მსმენელისთვის დადგენილი ცხრილის მიხედვით ჩართვის ლინკის მიწოდება;

15. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დისტანციური ჩართვა განახორციელოს ადეკვატური გარემოდან;

16. პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს საჭიროების შემთხვევაში ვიდეო და აუდიო მოწყობილობის ჩართვა ან გამორთვა.

17. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ონლაინ გამოკითხვებში და დააფიქსიროს მოსაზრება/რეკომენდაციები შემდგომი განვითარების მიზნით.

18. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს საკონტაქტო საათების ჩატარების ვიდეო ჩანაწერი და მიაწოდოს დეპარტამენტის თანამშრომლებს მოთხოვნიდან სამი სამუშაო დღის ვადაში. ჩატარებული საკონტაქტო საათის ვიდეო ჩანაწერი ინახება 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

19. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგში ჩართულ პირებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.

20. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და მასწავლებელთა გამოკითხვებს და გასცემს რეკომენდაციებს შემდგომი განვითარების მიზნით.

20. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო სასწავლო რესურსის ელექტრონული ფორმით პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისათვის მიწოდებას შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის საშუალებით.

მუხლი 5.პროფესიული სტუდენტის შეფასება

1. დისტანციური სწავლების დროს სტუდენტთა/მსმენელთა შეფასება წარმოებს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი ფორმით მოდულების სწავლის შედეგების შესაბამისად.

2. მოდული, რომლის სწავლის შედეგების დისტანციური სწავლების მეთოდით შეუძლებელია მიიღწეს, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სწავლებას და შეფასებას განახორციელებს დასწრებით სწავლებაზე დაბრუნების დროს.

3. მოდული, რომლის სწავლის შედეგები დისტანციური სწავლების მეთოდით შესაძლებელია იქნას მიღწეული, მასწავლებელს შეუძლია პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ჩაატაროს დისტანციურად, ასევე კონტაქტური ფორმით.

4. დისტანციური შეფასებების ძირითადი პრინციპები შეფასების ალტერნატიული მეთოდები უნდა იძლეოდეს პროფესიულ სტუდენტების/მსმენელების მიერ მიღწეული იგივე სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობას, რაც უნდა შეფასებულიყო სწავლების ტრადიციული ფორმების გამოყენების შემთხვევაში.

5. ზეპირი და წერილობითი გამოცდების ჩატარება ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით:

ა. ზეპირი გამოცდების ჩატარება შესაძლებელია ვიდეოკონფერენციის პლატფორმების გამოყენებით.

ბ. ელექტრონული ტესტირების ჩასატარებლად საჭიროა შესაბამისი კითხვების შექმნა ღია ან დახურული ფორმატით.

გ. დისტანციური სწავლების პერიოდში ჯგუფური დავალებების პროექტის წარმოდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, რომელზეც განთავსებული უნდა იყოს ყველა საჭირო მონაცემები, პროექტზე მომუშავე პროფესიული სტუდენტების /მსმენელების სახელი გვარების ჩათვლით;

დ. შეფასების შედეგები ფორმდება შესაბამის უწყისში.

ე. დისტანციურად სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში ჩართული პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ჩართოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ დაიშვება საგამოცდო პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (პროფესიული განათლების მიმართულებით) ახორციელებს კმაყოფილების კვლევის ანალიზს, რომლის შედეგები განიხილება და იგეგმება შემდგომი განვითარების გზები;

2. კითხვარების ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში საკითხების დაზუსტება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან შეხვედრებით, როგორც ჯგუფურად ისე ინდივიდუალურად.

3. ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებები განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში და ა.შ.

მუხლი 7. პერსონალური მონაცემების დაცვა

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის/პერსონალის პერსონალური მონაცემები შესაძლებელია, დამუშავებულ იქნას დისტანციურად სწავლების პროცესის უწყვეტად და ეფექტიანად განხორციელების მიზნებისთვის.

2. დისტანციური სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპი. ონლაინ ლექცია-სემინარები და ონლაინ-სწავლების ამსახველი სხვა მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის

პერსონალურ მონაცემებს მათი გასაჯაროება დასაშვებია მხოლოდ ჩართული პირების წინასწარი თანხმობით.

3. დისტანციური სწავლების პროცესში შექმნილი ნებისმიერი ვიდეო ლექცია და ელექტრონული სასწავლო მასალა ეკუთვნის უნივერსიტეტს და პროფესიული განათლების მასწავლებელს. ლექციის ჩანაწერი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ შიდა მოხმარებისათვის (მონიტორინგი, ხარისხის კონტროლი, სწავლების უზრუნველყოფა). დაუშვებელია ინტერნეტ-სივრცეში მისი გასაჯაროება ნებისმიერი ფორმით, გარდა სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის მიზნით შექმნილი დახურული სოციალურ ჯგუფებისა.

მუხლი 8. ეტიკეტის ნორმები

1. ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი ეტიკეტის ნორმები:

ა) შეარჩიოს ონლაინ ჩართვისთვის ადეკვატური გარემო, მოულოდნელი ხმაურის შეთხვევაში კი გამორთოს მიკროფონი.

ბ) საკონტაქტო საათის დაწყებამდე 5-10 წუთით ადრე შეამოწმოს კომპიუტერის/ტელეფონის/ინტერნეტის გამართულობა ტექნიკური ხარვეზის თავიდან აცილების მიზნით;

გ) არ დააგვიანოს ლექციაზე შესვლა;

დ) საკონტაქტო საათის მსვლელობისას დაიცვას ეთიკის და კომუნიკაციის წესები;

ე) გააკონტროლოს ჩართვის დროს არ გამოჩნდეს კამერაში არასასურველი გამოსახულება;

ვ) დაიცვას დისკუსიის წესები (ერთმანეთის მოსმენა, დროის განაწილება, რეგლამენტი, შეკითხვების დასმა და ა.შ.);

ზ) თავი შეიკავოს იუმორისა და სარკაზმისაგან, პატივი სცეს სხვის აზრს;

თ) არ გააზიაროს პერსონალური ინფორმაცია;

ი) დისტანციური სწავლების პროცესში დაიცავით დისკუსიის პანელის ეტიკეტი, რაც გულისხმობს მხოლოდ საკითხთან მიმართებაში დასმული კითხვებს, საკითხების დაზუსტება უნდა მოხდეს მასწავლებელთან და არა ჯგუფის წევრებთან;

კ) აკრძალულია ჟარგონის, ბარბარიზმების, სლენგის გამოყენება;

ლ) წერილის გაგზავნამდე გაასწოროს გრამატიკული შეცდომები;

მ) თავი შეიკავოს არაადეკვატური, დამამცირებელი და უადგილო ემოციის გამომხატველი სიმბოლოების და კომენტარების გამოყენებისაგან;

ნ) დაწეროს/ განათავსოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რისთვისაც გამოიყენება ერთიანი საკომუნიკაციო სისტემები;

ო) არ გამოაქვეყნოს საჯარო/დახურულ ინტერნეტ-სივრცეში პირადი ინფორმაცია, სხვისი ფოტო, ვიდეო დაუკითხავად.

2. წინამდებარე წესების დარღვევა ჩაითვლება შინაგანაწესის/ეთიკის კოდექსის დარღვევად, ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია იმოქმედოს გაფორმებული ხელშეკრულების და შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

დანართი 1.

პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კმაყოფილების კითხვარი

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი. თქვენი რჩევები და რეკომენდაციები ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

1. გაქვთ თუ არა შესაძლებლობა (ინტერნეტი, კომპიუტერი) რათა დაესწროთ დისტანციურად

განხორციელებულ სასწავლო პროცესს? (თუ ირჩევთ პასუხს „დიახ“ გააგრძელეთ კითხვარის

შევსება)

- დიახ
- არა
- ზოგჯერ

2. შეაფასეთ დისტანციურად ჩატარებული სასწავლო პროცესი

ძალიან კარგი

დამაკმაყოფილებელი

ცუდი

3. კმაყოფილი ხართ თუ არა სასწავლო პროცესში თქვენ მიერ მიღწეული სწავლის შედეგებით?

სრულად

ნაწილობრივ

ვერ

4. იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენი პასუხია „ვერ“ ან „ნაწილობრივ“, გთხოვთ დააკონკრეტოთ,

მიზეზი ----------

5. პროფესიული განათლების მასწავლებელი/განმახორციელებელი პირი მკაფიოდ ხსნის მასალას

ძალიან კარგი

დამაკმაყოფილებელი

ცუდი

6. დისტანციურად ჩატარებული სასწავლო პროცესი ინტერაქციულია?

დიახ

არა

7. პროფესიული განათლების მასწავლებელი ელექტრონულ პლატფორმას ეფექტურად იყენებს?

დიახ

- არა

9. ადმინისტრაცია მიწევს ტექნიკურ მხარდაჭერას დისტანციური სწავლების დროს:

სრულად

ნაწილობრივ

ვერ

10. დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართვა გიადვილდებათ:
   დიახ
   არა

11.პროფესიული განათლების მასწავლებლისგან ვიღებ დროულ უკუკავშირს:
   დიახ
   არა

12. შეაფასეთ საერთო კმაყოფილება 5 ბალიანი სისტემით:
   1
   2
   3
   4
   5
13. მონიშნეთ დისტანციურ სასწავლო პროცესზე თქვენი დასწრების დაახლებითი (%) მაჩვენებელი:
   100%
   80%
   50%
   10%
14. იყენებთ თუ არა დისტანციური სასწავლო პროცესის ჩანაწერებს:
   დიახ
   არა
   იშვიათად

15. თქვენი რეკომენდაციები ----------

დანართი 2 - დისტანციური სწავლების პროფესიული განათლების მასწავლებელთა კითხვარი
გთხოვთ შეავსოთ კითხვარი. თქვენი რჩევები და რეკომენდაციები ჩვენთვის მნიშვნელოვანია.
მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

საგანმანათლებლო პროგრამა და მოდული რომელსაც უძღვებით დისტანციური სწავლებით:

---

1. შეაფასეთ დისტანციურად ჩატარებული სასწავლო პროცესი
   ძალიან კარგი
   დამაკმაყოფილებელი
   ცუდი

2. კმაყოფილი ხართ თუ არა რომ დისტანციურად ჩატარებული სასწავლო პროცესის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მიღწეული სწავლის შედეგებით?
   სრულად
   ნაწილობრივ
   ვერ

3. „ვერ " ან „ნაწილობრივ ", გთხოვთ დააკონკრეტოთ მიზეზები
---

4. გჭირდებათ თუ არა ადმინისტრაციის მხარდაჭერა დისტანციური სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისთვის
   დიახ
   არა

5. პასუხი „დიახ" შემთხვევაში დააკონკრეტოთ რა ტიპის მხარდაჭერას ისურვებდით
---

6. რა სახის ტრენინგების ჩატარებას ისურვებდით დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვოისთვის?
---

7. ყველაზე ხშირად რა ტიპის ტექნიკური შეფერხება წარმოიშვა დისტანციური სწავლებისას
---

8. მონიშნეთ დისტანციურ სასწავლო პროცესზე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დასწრების დაახლებითი (%) მაჩვენებელი:

- 100%
- 80%
- 50%
- 10%

9. როგორი იყო პროფესიული სტუდენტების/მსმენელების აქტიურობა და ინტერაქცია?
---

10. თქვენი რეკომენდაციები დისტანციური სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისთის